ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს

დეა ბერიას

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგესალმებით,

მოგახსენებთ, რომ მიწის ნაკვეთზე ს/კოდით: 01.15.05.017.034, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული საკადასტრომ ნახაზის მიხედვით რეგისტრირებულია 10 (ათი) შენობა-ნაგებობა.

თუმცა დღეის მდგომარეობით, ტერიტორია ფაქტობრივად მოიცავს ნაწილობრივ დაშლილ-დანგრეულ 8 შენობა-ნაგებობას.

შენობა N1 წარმოადგენს 2-სართულიან ერთბინიაინ საცხოვრებელ სახლს. შენობა-ნაგებობა ფაქტობრივი მდგომარეობით ნაწილობრივ ჩამოშლილი და დემონტაჟირებულია. არ გააჩნია სახურავი და მეორე სართულის კედლები ნაწილობრივ მოშლილია. (გთხოვთ, იხილოთ შესაბამისი ფოტო-მასალა).

შენობა N2 საკადასტრო რუკის მიხედვით წარმოადგენდა 2-სართულიან ერთბინიაინ საცხოვრებელ სახლს, რომელიც ფაქტობრივად დაშლილია და დემონტაჟირებულია. დარჩენილია მხოლოდ გარე კედლის 2 მხარის დაშლა-დემონტაჟი და დემონტაჟის შედეგად მიღებული ნარჩენების გატანა. (გთხოვთ, იხილოთ შესაბამისი ფოტო-მასალა).

შენობა N3 წარმოადგენს 1-სართულიან საცხოვრებელ ფართს, სარდაფით. შენობა-ნაგებობა ფაქტობრივად დაშლილია, არ გააჩნია სახურავი და კედლების ნაწილი. (გთხოვთ, იხილოთ შესაბამისი ფოტო-მასალა).

შენობა N4, რომელიც საკადასტრო რუკის მიხედვით მდებარეობს შენობა N3-ის მომიჯნავედ, ფაქტობრივად აღარ არსებობს. (გთხოვთ, იხილოთ შესაბამისი ფოტო-მასალა).

შენობ(ებ)ი N5, N6 და N7 წარმოადგენს ერთმანეთთან მიჯრით მდგომ შენობა-ნაგებობს, რომლებიც წარმოადგენენ 1-სართულიან საცხოვრებელ სახლს სარდაფით. როგორც შესაბამისი ფოტო-მასალიდან ჩანს, ფაქტობრივად აღნიშნული შენობა-ნაგებობებიც დაშლილია, არ გააჩნია სახურავი, ნაწილობრივ კელდებიც მოხსნილია. (გთხოვთ, იხილოთ შესაბამისი ფოტო-მასალა).

შენობა N8 საკადასტრო რუკის მიხედვით წარმოადგენს 2-სართულიან შენობა-ნაგებობას. შენობა ნაწილობრივ დაშლილია, არ გააჩნია სახურავი და კედლების ნაწილი დემონტირებულია. (გთხოვთ, იხილოთ შესაბამისი ფოტო-მასალა).

შენობა N9 მდებარეობს შენობა N8-ის მომიჯნავედ და წარმოადგენს 2-სართულიან შენობა-ნაგებობას. შენობა ნაწილობრივ დაშლილია, არ გააჩნია სახურავი და კედლების ნაწილი დემონტირებულია. (გთხოვთ, იხილოთ შესაბამისი ფოტო-მასალა).

შენობა N10 მდებარეობს შენობა N9-ის მომიჯნავედ და წარმოადგენს 1-სართულიან შენობა-ნაგებობას. შენობა ნაწილობრივ დაშლილია, არ გააჩნია სახურავი და კედლების ნაწილი დემონტირებულია. (გთხოვთ, იხილოთ შესაბამისი ფოტო-მასალა).

როგორც მოგეხსენებათ, შპს „კატევე დეველოპმენტი“-ს მიერ დაგეგმილია ტერიტორიაზე ოფიციალურად რეგისტრირებული და ფაქტობრივად არსებული ყველა შენობა-ნაგებობის დემონტაჟი და დემონტაჟის შედეგად მიღებული ნარჩენების გატანა, რათა მოხდეს ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რომლისთვისაც AR1846861 განაცხადით გაიცა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

ასევე, გაცნობებთ, რომ 2021 წლის 23 აგვისტოს დადგენილება N4-1/დ1128-21 საფუძველზე შპს „კატევე დეველოპმენტი“ დაჯარიმდა სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ, აღნიშნულ ტერიტორიაზე უნებართვოდ ნაწარმოები სადემონტაჟო სამუშაოების გამო და მას შემდეგ ტერიტორიაზე სამუშაოები არ ჩატარებულა. ფაქტობრივი მდგომარეობა წარმოდგენილი გვაქვს ფოტო-მასალაზე და ასევე ნახაზებითაც, რომელბშიც ვერ დავიტანთ არარსებულ სახურავებსა და კედლებს.

შპს „კატევე დეველოპმენტმა“ გადაიხადა საჯარიმო სანქცია 8 000 ლარის ოდენობით, რის დასტურადაც წარმოგიდგენთ საგადასახადო ქვითარს.

ვინაიდან, მიწის ნაკვეთი სრულად უნდა განთავისუფლდეს არსებული შენობა-ნაგებობებისგან და ვინაიდან, წარმოდგენილი გვაქვს საქმის განხილვისთვის საჭირო და საკმარისი დოკუმენტაცია, გთხოვთ, გასცეთ დემონტაჟის ნებართვა.

პატივისცემით,

დეა ბერია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-11/ე1128-21
"23" 08 2021 წ.

დადგენილება №001489
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

23.08.2021წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ, მამუკა ჯაყელმა, განვიხილე 2021 წლის 23 ივნისის №001489 მითითება და 2021 წლის 15 ივლისის №001489 შემოწმების აქტი, შედგენილი **შ.პ.ს „კატევე დეველოპმენტი"-ს** (ს/ნ 405172977; მის: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ს. ცინცაძის ქ., №21, ფართი, №3-6;) მიმართ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 131-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე**:

ქ. თბილისში, შესახვევი ტარიელი, №13, ქუჩა ტარიელის №13-ის მიმდებარე ტერიტორია.; ქალაქ თბილისი, ქუჩა ტარიელი, №9, (ნაკვეთი №17/14); ქალაქი თბილისი, ქუჩა ტარიელი, №17; ქალაქი თბილისი, ტარიელის ქუჩა, (შეს) №15 (№15ბ); ქალაქი თბილისი, ტარიელის ქ. №15-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ქუჩა ტარიელის, (შეს) №15 (№15ბ) მიმდებარედ, ს/კ №01.15.05.017.034-ით რეგისტრირებულ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, შ.პ.ს „კატევე დეველოპმენტი"-ს მიერ, განხორციელდა შენობა №03 (1); №04 (1); №10 (1); №01 (2); №02 (2); №08 (2); №09 (2) ნაწილობრივი დემონტაჟი შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე,

მუნიციპალური ინსპექციის მიერ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ, 2021 წლის 23 ივნისს, შედგა №001489 მითითება, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 20 კალენდარული დღის ვადა, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარმოსადგენად.

2021 წლის 15 ივლისს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 124-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის მიერ შედგა

№001489 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა.

საქმეშია, შ.პ.ს. „კატევე დეველოპმენტი"-ს №10/0121229290-17 17.08.2021წ. განცხადება, რომლითაც მხარე აღიარებს სამშენებლო სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს და მოთხოვნილია კანონით გათვალისწინებული ზომების გატარება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შ.პ.ს „კატევე დეველოპმენტი"-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 131-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, შესახვევი ტარიელი, №13, ქუჩა ტარიელის №13-ის მიმდებარე ტერიტორია.; ქალაქ თბილისი, ქუჩა ტარიელი, №9, (ნაკვეთი №17/14); ქალაქი თბილისი, ქუჩა ტარიელი, №17; ქალაქი თბილისი, ტარიელის ქუჩა, (შეს) №15 (№15ბ); ქალაქი თბილისი, ტარიელის ქ. №15-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ქუჩა ტარიელის, (შეს) №15 (№15ბ) მიმდებარედ, ს/კ №01.15.05.017.034-ით რეგისტრირებულ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, შ.პ.ს „კატევე დეველოპმენტი"-ს მიერ, განხორციელდა შენობა №03 (1); №04 (1); №10 (1); №01 (2); №02 (2); №08 (2); №09 (2) ნაწილობრივი დემონტაჟი შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლით, 124-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლით, 128-ე მუხლის მესამე ნაწილით, 131-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით და

დავადგინე:

1. **შ.პ.ს „კატევე დეველოპმენტი"** დაჯარიმდეს 8 000 (რვა ათასი) ლარით, ქ. თბილისში, შესახვევი ტარიელი, №13, ქუჩა ტარიელის №13-ის მიმდებარე ტერიტორია.; ქალაქ თბილისი, ქუჩა ტარიელი, №9, (ნაკვეთი №17/14); ქალაქი თბილისი, ქუჩა ტარიელი, №17; ქალაქი თბილისი, ტარიელის ქუჩა, (შეს) №15 (№15ბ); ქალაქი თბილისი, ტარიელის ქ. №15-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ქუჩა ტარიელის, (შეს) №15 (№15ბ) მიმდებარედ, ს/კ №01.15.05.017.034-ით რეგისტრირებულ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, შენობა №03 (1); №04 (1); №10 (1); №01 (2); №02 (2); №08 (2); №09 (2) ნაწილობრივი დემონტაჟის განხორციელებისთვის;

2. **შ.პ.ს „კატევე დეველოპმენტი"-ს** დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა

გადაიხადონ ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **შ.პ.ს „კატევე დეველოპმენტი"-ს** დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, (დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში) სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე **მამუკა ჯაყელი**

საგადახდო დავალება No 8497

Transfer Order No 8497

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

ვალუტირების თარიღი/Value Date: 27/08/2021 რეფერენსი/reference: 11475280607

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს კატევე დეველოპმენტი

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE24BG0000000770764900GEL

თანხა/Amount
8,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
რვა ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს კატევე დეველოპმენტი

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer
405172977

მიმღების დასახელება/Recipient
ქ. თბილისი - შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773263

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
27/08/2021

გადახდის დანიშნულება/Description
დადგენილება N 001489 23,08,2021

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info
N001489 შემოწმების აქტის შესაბამისად

შტამპი:
"ს.ბ. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA"
დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან PRINTED FROM INTERNET BANK

ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ვალუტირების თარიღი/Value Date:

საგადახდო დავალება No 8497

Transfer Order No 8497

იგრძენი მომავალი საქართველოს ბანკი CORPORATE

ვალუტირების თარიღი/Value Date: 27/08/2021 რეფერენსი/reference: 11475280607

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს კატევე დეველოპმენტი

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE24BG0000000770764900GEL

თანხა/Amount
8,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
რვა ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს კატევე დეველოპმენტი

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer
405172977

მიმღების დასახელება/Recipient
ქ. თბილისი - შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773263

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
27/08/2021

გადახდის დანიშნულება/Description
დადგენილება N 001489 23,08,2021

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info
N001489 შემოწმების აქტის შესაბამისად

შტამპი:
"ს.ბ. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA"
დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან PRINTED FROM INTERNET BANK

ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ვალუტირების თარიღი/Value Date: